ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №15

ქ. ბათუმი **2018 წლის 30 ნოემბერი**
11[00] საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების “ თავმჯდომარე;

დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების “ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების “ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი - ნ. გათენაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

5. „აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურული წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი - ნიაზ გათენაძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუ-ნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ გააცნო საკრებულოში შემოსული საკრებულოს წევრის რაულ თავართქილაძის განცხადება, რის საფუძველზე დატოვა პოლიტიკური გაერთიანება ,,ევროპული საქართველოს“ რიგები და საკრებულოში მოღვაწეობას გააგრძელებს დამოუკიდებელი წევრის სტატუსით, ასევე საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, შემოსულია პეტიცია ნურეთინ ჩერმიქლის ქუჩისთვის სახელის გადა-რქმევასთან დაკავშირებით, რომელიც განხილულია საკრებულოს განათლების, კუ-ლტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომაზე, თუმცა ვერ და-კმაყოფილდა მათი მოთხოვნა.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ მადლობა გადაუხადა ბათუმელ ამომრჩევლებს მშვიდობიანი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის, მიუხედავად ცილის-წამებისა, ბოროტებისა და ტყუილისა.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა მიულოცა დამსწრე-საზოგადოებას დემო-კრატიული გამარჯვება, საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულ იქნა პირველი ქალი პრეზიდენტი. მადლობა გადაუხადა ყველა იმ ამომრჩეველს, რომლებმაც მხარი დაუჭირა დღევანდელ ხელისუფლებას და საქართველოს წინაშე მოიხადა მოქა-ლაქეობრივი ვალდებულება.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მიულოცა სრულიად საქართველოს ქალი პრე-ზიდენტის არჩევას, რადგან მიაჩნია რომ ეს არის ფორმა დემოკრატიული ნაბიჯებისა. ასევე მიულოცა ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს გამარჯვება და იმ ხალხის ნდობა, რომელიც მის მიმართ გამოიჩინა და საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დააფიქსირა საკუთარი არჩევანი. საქართველოში უნდა დამთავრდეს დესტრუ-

ქციული, ძალისმიერი და სიძულვილის ენით მოსაუბრე პოლიტიკური ძალა, რომლებიც ატყუებდნენ საზოგადოებას და გაერთიანებული ძალით მოქმედებდნენ.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ საქართველოს მოსახლეობას მიულოცა მშვიდობის ფონზე არჩევნების ჩატარება. ტექნიკური და სხვა სახის დარღვევები დაფიქსირდა, იმედია, რომ შესაბამისი სამსახურები განიხილავს. მან ამომრჩევლების ინტერესებიდან გამომდინარე გააცნო მოსახლეობის განცხადებები, მისი ყოველი სიტყვა დაფუძნებულია ფაქტობრივ გარემოებებზე. სამარშრუტო ხაზების შეცვლიდან გამომდინარე შეიქმნა პრობლემები. სხდომას მუნიციპალიტეტის მერი თუ არა მერის მოადგილეები უნდა ესწრებოდნენ, რადგან განცხადებები ეხება მერიას. მერიაში შესული განცხადებები დღესაც პასუხგაუცემელია.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ მიულოცა საქართველოს, ქალი პრეზიდენტის არჩევა. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების პირველი ტურის შემდეგ გაიკეთა პარტიიდან ,,ევროპული საქართველოდან" წასვლის შესახებ განცხადება, რის გამოც წასვლის შემდეგ იყო სხვადასხვა ბრალდებები, რომლებსაც თვლის, რომ მას არ შეეხება.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მოგებულია. მადლობა გადაუხადა ქართველ ამომრჩევლებს, რადგან მოგვცა კიდევ ერთხელ შანსი, სადაც ნათქვამია, რომ ხელისუფლება არის ხალხი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1.„საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 16 მაისს წარედგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N03/1626-18 (N15739/25) წერილი, რომელიც ეხება სს „სილქნეტი"-ს 2018 წლის 02 მაისის N№-6//2197-18 კორესპონდენციით დასმულ საკითხს - „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ)" ქვეპუნქტით საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სხვადასხვა ნივთის (მათ შორის, კიბის უჯრედის, აგრეგატის და სხვა მსგავსი ტიპის ნივთის/ნაგებობის) განთავსებისათვის საზღაურის სახით დაწესებული 1000,0 ლარის გადახდის ვალდებულების გავრცელების უმართებულობას საზოგადოებრივ სივრცეებში ხაზობრივი ნაგებობების განთავსებისათვის აუცილებელი ანძებისა და საკომუნიკაციო ჭების მოწყობაზე. საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის N13187-25 წერილით

განიმარტა, რომ საჯარო რეესტრის ინსტრუქციის მიხედვით საკომუნიკაციო ჭა განიხილება ხაზობრივი ნაგებობის ერთიან შემადგენელ ნაწილად, შესაბამისად, მიზანშეწონილია მითითებული წესით განსაზღვრული გადასახადის გადახდის ვალდებულება არ შეეხოს ისეთ ნაგებობას, როგორიცაა საკომუნიკაციო ჭა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის“ მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს №1306/02 (N29101/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასმული იქნა საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.681) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც ამჟამად მოწყობილია სასაფლაოები და საჭიროებს შემდგომ გაფართოებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით და ითხოვა შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.48.06.681) .

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადასაცემად სასაფლაოს გაფართოების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არამუშა/ცუდ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებების საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 13 ნოემბერს წარედგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 ნოემბრის №5/62811 (N31096/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული ავტობუსის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ფოთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროცესი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ფოთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით, ძველი ავტობუსების სახელმწიფოსათვის გადაცემა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განხორციელდა შპს ბათუმის „ავტოტრანსპორტი“-ს კაპიტალში რიცხული „ZONDA BUS” მარკის 5 ერთეული ავტობუსის კაპიტალიდან ამოღება. წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია სახელმწიფოსათვის ავტობუსების საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ფოთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ განაცხადა, რომ ზემო აჭარაში ავტობუსები არ არის განაწილებული, კერძო ავტობუსები ემსახურება სოფლებს, გამომდინარე აქედან ფოთის ნაცვლად ზემო აჭარას გადაეცეს ავტობუსები, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მსგავსი მოთხოვნა შემოსული იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან, თუმცა როდესაც გაეცნენ ავტობუსების ვითარებას, განაცხადეს უარი. საქალაქთაშორისო მოძრაობას რაც შეეხება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. მერიის უფლებამოსილებაა დაადგინოს ქალაქის შიდა ქსელი მარშრუტებისა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 1 (ა. მამულაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1(რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **5. „აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურული წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი - ნიაზ გათენაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წესი განსაზღვრავს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 771 და 772 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურას.

წესის მიზანია, საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის (შემდგომში – ხმაური) დონის გაზომვისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 და 77^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა.

უფლებამოსილი პირი საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში ხმაურის დონის გაზომვას ახორციელებს ხმაურმზომის მეშვეობით. ხმაურის დონის გაზომვის პირობები უნდა შეესაბამებოდეს ხმაურმზომის ექსპლოატაციის ინსტრუქციას.

ხმაურის დონის გაზომვა ხორციელდება საცხოვრებელი სახლის და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში (შემდგომში – შენობა) თანაბრად განლაგებულ არანაკლებ 3 წერტილში, კედლიდან მინიმუმ 1 მ და ფანჯრიდან მინიმუმ 1,5 მ დაცილებით, იატაკიდან 1,2-1,5 მ სიმაღლეზე.

ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება შენობას, გაზომვები ტარდება არანაკლებ 3 წერტილში, შენობის კონსტრუქციების კედლებიდან არანაკლებ 2 მ დაცილებით, მიწიდან 1,2-1,5 მ სიმაღლეზე.

გაზომვის დროს ხმაურმზომის მიკროფონი მიმართული უნდა იყოს ხმაურის ძირითადი წყაროს მიმართულებით და დაცილებული უნდა იყოს გაზომვის ჩამტარებელი პირისაგან არანაკლებ 0,5მ-ით. თუ შეუძლებელია ხმაურის ძირითადი წყაროს განსაზღვრა, მიკროფონი მიმართული უნდა იყოს ვერტიკალურად ზემოთ.

ხმაურის დონის გაზომვისას მხედველობაში მიიღება საკონტროლო წერტილში მიღებული ხმაურის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ დასვა შეკითხვა უფლებამოსილების გადმოცემის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უფლებამოსილება სამსახურს გადმოეცა 2018 წლის 26 ივნისს.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოზე“ ქალაქის ბედია დამოკიდებული. ბათუმი არის ტურისტული ქალაქი

და მისაქცევია დიდი ყურადღება. ღამის საათებში სამშენებლო კომპანიები ხმაურიან სამუშაოებს აწარმოებენ. რესტორნების ხმაური აწუხებს მოსახლეობას. ღამის საათებში აღმოსაფხვრელია ხმაური, რის გამოც მაქსიმალურად უნდა იმუშაოს სააგენტომ.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ აღნიშნა, რომ ბათუმში, ხიმშიაშვილის დასახლებაში 12 საათის შემდეგ პიროტექნიკის ხმაურია. ზღვისპირა ქუჩაა და რესტორნები და სამშენებლო სამუშაოები საკმაოდ ბევრია. ასევე სამშენებლო სამუშაოები იწყება დილის 6 საათიდან, რომელიც მოსახლეობას აწუხებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე არის დღის და ღამის ხმაური, 9-დან 23 საათამდე და 23 საათიდან დილის 9 საათამდე. მოცემულ სამსახურში 6 კაციანი ბრიგადაა, ზაფხულში ემატება 10 ადამიანი ხელშეკრულების საფუძველზე. წესის საფუძველზე გამოძახებების დაფიქსირების შემთხვევაში მოხდება რეაგირება.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ დასვა შეკითხვა სასამართლოების სტატისტიკის თაობაზე, ასევე ხმაურს იწვევს ქალაქში მოპედების სიარული, რაიმე მიდგომები ან სტანდარტები აქვს თუ არა სააგენტოს?, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტატისტიკის მიხედვით 68 ოქმია შედგენილი, პირველ შემთხვევაში დგება ადმინისტრაციული ოქმი, განმეორებით ოქმის შედგენის 15 შემთხვევა, მესამედ გაფრხილების 27 შემთხვევაა დაფიქსირებული. გამომდინარე აქედან 50 ოქმი სასამართლოშია.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ დუმბაძის ქუჩაზე მოსახლეობას აწუხებს ხმაური და შეუძლებელია ცხოვრება. სააგენტო ამისამართებს პოლიციასთან, პოლიციას კი არ აქვს უფლებები და არ არის მათი კომპეტენცია. ის მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან ფიქრობს უკეთესობა იქნება და გამოსწორდება მოსახლეობის მდგომარეობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქში პრობლემებია და კარგი იქნებოდა სააგენტოს დირექტორი, რომ სხდომას დასწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დადგენილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით. დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით აღნიშნული საბჭოს დებულება დამტკიცებულია ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტით - განკარგულებით. ამასთან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი დეპარტამენტის წერილობითი რეკომენდაციაა დასახელებული საბჭოს დებულება დამტკიცდეს ნორმატიული აქტით - დადგენილებით. გარდა ამისა რეკომენდაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო უნდა შესწორდეს შემდეგი სახით: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო. აღნიშნულ შესწორებებს უკავშირდება წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან საკრებულოს საქმიანობისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების და საფინანსო-საბუღალტრო, საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგებას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო აპარატის მოვალეობა იქნება ამ ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 1(ა. მამულაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1(რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **სულიკო თებიძე**

ოქმის სისწორეს ვადასტურებ:	რ. ბოლქვაძე	—	საკრებულოს აპარატის უფროსი
ვიზირებულია:	ს. შვენთიძე -		საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი
	მ. თურმანიძე		საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
ოქმი შეადგინა:	მ. წულუკიძე	—	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი